

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
Известия Национальной Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

ბიომედიცინის სერია
БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ
BIOMEDICAL SERIES

2022 № 1-3

ტომი
TOM
VOL.

48

ჟურნალი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

თბილისი Tბილისი Tbilisi
2022

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ მითაგვარია (მთავარი რედაქტორი)
თემურ ნანეიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ ბექაია (მთ. რედაქტორის მოადგილე)
თამარ დომიანიძე (სწ. მდივანი)

ჯეიმს ბიჩერი (აშშ) დავით მიქელაძე
ევორ გასეცკი (საფრანგეთი) დავით ნადარეიშვილი
მერაბ კოკაია (შვედეთი) სერგეი რაზინი (რუსეთი)
პატრიკ კურმი (საფრანგეთი) რომან შაქარიშვილი
ოლღა ლავრიკი (რუსეთი)

სარედაქციო საბჭო

ნაირა აივაზიანი (სომხეთი) დავით მეტრეველი
ივან დემჩენკო (აშშ) ზურაბ ქევანიშვილი
ზურაბ ვადაჭკორია ნინო ცისკარიშვილი
დმიტრი ვასილენკო (უკრაინა) ალექსანდრე ცისკარიძე
ოთარ თოიძე დიმიტრი წვერაგა
არჩილ კეზელი ბეჟან წინამძღვარიშვილი
ირინე კვაჭაძე არჩილ ხომასურიძე
დიმიტრი კორძაია ულდუზ კაშიმოვა (აზერბაიჯანი)
ფელიქს მაკაროვი (რუსეთი)

კორექტორი: დ. სოხაძე კომპიუტერული დიზაინი და დაკაბდონება: ა. სურმაკა

ეს ნომერი გამოცემულია

ი. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების დაფინანსებით
თბილისი, 0160, ლ. გოთუას 14

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Н. Митагвария (гл. редактор)
Т. Нанейшвили (зам. гл. редактора)
Г. Бекая (зам. гл. редактора)
Т. Домианидзе (уч. секретарь)

<i>Джеймз Бичер (США)</i>	<i>Давид Микеладзе</i>
<i>Егор Васецки (Франция)</i>	<i>Давид Надарейшвили</i>
<i>Мераб Кокая (Швеция)</i>	<i>Сергей Разин (Россия)</i>
<i>Патрик Курми (Франция)</i>	<i>Роман Шакаришвили</i>
<i>Ольга Лаврик (Россия)</i>	

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

<i>Наира Айвазян (Армения)</i>	<i>Давид Метревели</i>
<i>Зураб Вадачкория</i>	<i>Отар Тоидзе</i>
<i>Дмитрий Василенко (Украина)</i>	<i>Улдуз Хашимова (Азербайджан)</i>
<i>Иван Демченко (США)</i>	<i>Арчил Хомасуридзе</i>
<i>Ирина Квачадзе</i>	<i>Дмитрий Цверава</i>
<i>Зураб Кеванишвили</i>	<i>Бежан Цинамдзгвришвили</i>
<i>Арчил Кезели</i>	<i>Александр Цискаридзе</i>
<i>Дмитрий Кордзя</i>	<i>Нино Цискаришвили</i>
<i>Феликс Макаров (Россия)</i>	

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

Издано Обществом физиологов Грузии им. И.С. Бериташвили
Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

EDITORIAL BOARD

N. Mitagvaria (Editor-in-Chief)
T. Naneishvili (Vice-Editor)
G. Bekaya (Vice-Editor)
T. Domianidze (Scientific Secretary)

<i>James Bicher (USA)</i>	<i>David Nadareishvili</i>
<i>Patrick Curmi (France)</i>	<i>Sergey Razin (Russia)</i>
<i>Merab Kokaia (Sweden)</i>	<i>Roman Shakarishvili</i>
<i>Olga Lavrik (Russia)</i>	<i>Egor Vassetzky (France)</i>
<i>David Mikeladze</i>	

ADVISORY BOARD

<i>Naira Aivazian (Armenia)</i>	<i>Irina Kvachadze</i>
<i>Ivan Demchenko (USA)</i>	<i>Otar Toidze</i>
<i>Zurab Kevanishvili</i>	<i>Alexander Tsiskaridze</i>
<i>Ulduz Khashimova (Azerbaijan)</i>	<i>Nino Tsiskarishvili</i>
<i>Archil Khomasuridze</i>	<i>Bezhan Tsinamdzgvrishvili</i>
<i>Dmitri Kordzaia</i>	<i>Dmitry Tsverava</i>
<i>Felix Makarov (Russia)</i>	<i>Zurab Vadachkoria</i>
<i>David Metreveli</i>	<i>Dmitry Vasilenko (Ukraine)</i>
<i>Archil Kezeli</i>	

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

Published by I. Beritashvili Georgian Physiologists Society
14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მეცნ. ბიომედ. სერია, 2022, ტ. 48, № 1-3

ISSN-0321-1665

Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2022, т. 48, № 1-3

Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2022, vol. 48, No 1-3

შინაარსი

СОДЕРЖАНИЕ

CONTENTS

ბრუმიონის კვლევის მნიშვნელობა

კლინიკური მედიცინისთვის

გიორგი ანდრონიკაშვილი, თეა გურაშვილი, თამილა ბაგაშვილი,
ქეთევან გოგეშვილი, გიორგი კვერნაძე, მიხეილ ოკუჯავა,
სენერა ჩიპაშვილი, ნინო ახობაძე, მალხაზ მაყაშვილი

ЗНАЧЕНИЕ ИССЛЕДОВАНИЯ ГРУМИНГА

ДЛЯ КЛИНИЧЕСКОЙ МЕДИЦИНЫ

Георгий Андроникашвили, Теа Гурашвили, Тамила Багашвили, Кетеван Гогешвили,
Георгий Квернадзе, Михаил Окуджава, Сенера Чипашвили, Нино Ахобадзе,
Малхаз Макашвили

THE VALUE OF GROOMING RESEARCH

FOR CLINICAL MEDICINE

Giorgi Andronikashvili, Tea Gurashvili, Tamila Bagashvili, Ketevan Gogeshvili,
Giorgi Kvernadze, Mikheil Okujava, Senera Chipashvili, Nino Akhobadze,
Malkhaz Makashvili 1

THE INFLUENCE OF THE ATMOSPHERE AIR POLLUTION

ON THE HEALTH OF POPULATION AND

THE PREVENTION MEASURES

Nino Lomtadze, Marina Gvianidze, Irina Nakashidze, Tinatin Gorgiladze, Ia Davitadze

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გავლენა

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და

დაცვის ღონისძიებები

ნინო ლომთაძე, მარინა გვიანიძე, ირინა ნაკაშიძე, თინათინ გორგილაძე,
ია დავითაძე

ВЛИЯНИЕ ЗАГРЯЗНЕНИЯ АТМОСФЕРНОГО ВОЗДУХА

НА ЗДОРОВЬЕ НАСЕЛЕНИЯ И МЕРЫ ПРЕДОСТОРОЖНОСТИ

Нино Ломтатидзе, Марина Гвианидзе, Ирина Накашидзе, Тинатин Горгиладзе,
Ия Давидадзе 15

II

COMPARATIVE ANALYSIS OF THE ANTIOXIDANT ACTIVITY OF FOLIUM HERBAL PREPARATIONS

Levan Mikeladze, Babry Oren, Marina Devdariani, Marina Nebieridze, Lali Gumberidze,
Lena Davlianidze, Ia Kvachakidze, Nino Sikharulidze, Nino Chikobava, Nodar Mitagvaria

შოლიუმის მცენარეული პრეპარატების ანტიოქსიდანტური აქტიუბის შედარებითი ანალიზი

ლეუან მიქელაძე, ბაბრი ორენი, მარინა დეუდარიანი, მარინა ნებიერიძე,
ლენა დუვლიანიძე, ია კუაჩაკიძე, ნინო სიხარულიძე, ნინო ჩიკობაუა,
ნოდარ მიტაგუარია

СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ АНТИОКСИДАНТНОЙ АКТИВНОСТИ РАСТИТЕЛЬНЫХ ПРЕПАРАТОВ ФОЛИУМА

Леван Микеладзе, Бабри Орен, Марина Девдариани, Марина Небиеридзе, Лали
Гумберидзе, Лена Давлианидзе, Ия Квачакидзе, Нино Сихарулидзе, Нино Чикобауа,
Нодар Митагвария..... 23

STUDY OF COMORBIDITIES IN PATIENTS INFECTED WITH COVID-19

Ia Murvanidze, Nino Lomtadze, Nino Kedelidze, Teona Gogitidze, Irina Nakashidze

თანმეღებობის დაავადებების შესწავლა COVID-19-ით ინფიცირებულ პაციენტებში

ია მურვანიძე, ნინო ლომთათიძე, ნინო კედელიძე, თეონა გოგითიძე, ირინა
ნაკაშიძე

ИЗУЧЕНИЕ СОПУТСТВУЮЩИХ ЗАБОЛЕВАНИЙ У ПАЦИЕНТОВ, ИНФИЦИРОВАННЫХ COVID-19

Ия Мурванидзе, Нино Ломтатидзе, Нино Кеделидзе, Теона Гогитидзе, Ирина
Накашидзе..... 39

INTERRELATIONSHIPS BETWEEN THE RETICULAR NUCLEUS OF THE THALAMUS AND BRAINSTEM STRUCTURES

Zakaria Nanobashvili, Irine Bilanishvili, Maia Barbakadze, Irine Vashakidze,
Nadezhda Khizanishvili

შრთიერთობა თალამუსის რეტიკულურ ბირთვსა და ტვინის ღეროს სტრუქტურებს შორის

ზაკარია ნანობაშვილი, ირინე ბილანიშვილი, მაია ბარბაკაძე,
ირინე ვაშაკიძე, ნადეჟდა ხიზანიშვილი

ВЗАИМООТНОШЕНИЯ МЕЖДУ РЕТИКУЛЯРНЫМ ЯДРОМ ТАЛАМУСА И СТРУКТУРАМИ СТВОЛА ГОЛОВНОГО МОЗГА

Захарий Нанобашвили, Ирине Биланишвили, Майа Барбакадзе, Ирине Вашакидзе,
Надежда Хизанишвили..... 45

EFFECTS OF LOW DOSES OF RADON CONTAINED IN TSKALTUBO WATER ON
CHANGES IN BRAIN BIOCHEMICAL CORRELATES IN KRUSHINSKY-
MOLODKINA (KM) RATS WITH EPILEPSY

Marina Nikolaishvili, Zakaria Nanobashvili, Nodar Mitagvaria, Gvantsa Chkadua,
Ekaterine Nozadze, Irine Bilanishvili

წყალტუბოს წყალში შემავალი რადონის დაბალი დოზების ეფექტი
თავის ტვინის ბიოქიმიური კორელატების ცვლილებაზე ეპილეფსიით
დაავადებულ კრუშინსკი-მოლოდკინას ხაზის ვირთაგვებში (KM)

მარინა ნიკოლაიშვილი, ზაქარია ნანობაშვილი, ნოდარ მითაგვარია,
გვანცა ჭკადუა, ეკატერინე ნოზაძე, ირინე ბილანიშვილი

ВЛИЯНИЕ МАЛЫХ ДОЗ РАДОНа, СОДЕРЖАЩЕГОСЯ В ЦХАЛТУБСКОЙ
ВОДЕ, НА ИЗМЕНЕНИЯ БИОХИМИЧЕСКИХ КОРРЕЛЯТОВ ГОЛОВНОГО
МОЗГА У ЭПИЛЕПТИЧЕСКИХ КРЫС ЛИНИИ КРУШИНСКОГО-МОЛОДКИНОЙ

Марина Николаишвили, Захарий Нанобашвили, Нодар Митагвария, Гванца Чкадуа,
Екатерине Нозадзе, Ирине Биланишвили 55

სპორტული სკოლის (7-13 წწ.) ბავშვთა ფიზიკური და ფუნქციური
მონაცემების დინამიკა

დურმიშხან ჩიტაშვილი, ელენე კორინთელი, ნანა ბერიანიძე, ალექსანდრე
გობირაშხაშვილი, მარიამ გობირაშხაშვილი, ნინო ჩიკობავა

ДИНАМИКА ФИЗИЧЕСКИХ И ФУНКЦИОНАЛЬНЫХ ДАННЫХ ДЕТЕЙ
СПОРТИВНОЙ ШКОЛЫ В ВОЗРАСТЕ 7-13 ЛЕТ

Дурмишхан Читашвили, Елене Коринтези, Нана Бериянидзе, Александр
Гобирахашвили, Мариам Гобирахашвили, Нино Чикобава

THE DYNAMICS OF PHYSICAL AND FUNCTIONAL DATA OF 7-13 AGED
CHILDREN OF SPORTS SCHOOL

Durmishkhan Chitashvili, Elene Korinteli, Nana Berianidze, Alexander Gobirakhashvili,
Mariam Gobirakhashvili, Nino Chikobava 75

ЭФФЕКТИВНОСТЬ КОМБИНИРОВАННОГО ПРИМЕНЕНИЯ
АНТИОКСИДАНТОВ И ФОТОТЕРАПИИ В ЛЕЧЕНИИ ВИТИЛИГО

Нино И. Цискаришвили, Цискარი Цискаришвили, Нино В. Цискаришвили

ვითილიგოს მკურნალობის ეფექტურობის შეფასება ზოგადი და ადგილობრივი
ანტიოქსიდანტების და ფოტოთერაპიის კომბინირებული გამოყენებისას

ნინო ი. ცისკარიშვილი, ცისკარი ცისკარიშვილი, ნინო ვ. ცისკარიშვილი

EFFICIENCY OF COMBINED USE OF ANTIOXIDANTS AND PHOTOTHERAPY
IN THE TREATMENT OF VITILIGO

Nino I. Tsiskarishvili, Tsiskari Tsiskarishvili, Nino V. Tsiskarishvili 87

ონსტრუქცია ავტორთათვის

ИНСТРУКЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

INSTRUCTIONS FOR AUTHORS

გრუმინგის კვლევის მნიშვნელობა კლინიკური მედიცინისთვის

*გიორგი ანდრონიკაშვილი¹, თეა გურაშვილი², თამილა ბაგაშვილი³,
 ქეთევან გოგეშვილი¹, გიორგი კვერნაძე¹, მიხეილ ოკუჯაშვილი⁴,
 სენერა ჭიბაშვილი¹, ნინო ახოძაძე¹, მაღხაზ მაცაშვილი⁴*

¹ ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; ² კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი; ³ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ⁴ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

გრუმინგი არის თანდაყოლილი ქცევა, რომელიც მრავალ ფუნქციას მოიცავს. იგი ორმხრივი – კომფორტული და სტრესული ბუნების მატარებელია. ავტოგრუმინგი ძლიერ მგრძნობიარეა სტრესის გამოწვევით ფაქტორების, ასევე ბუნებრივი და სინთეზური ანქსიოლიტური საშუალებების მიმართ. მკვლევართა აზრით, მღრღნელების გრუმინგის შესწავლა კარგი ინსტრუმენტია ტრანსლაციური ნეირობიოლოგიური გამოკვლევებისთვის, რადგან აბერანტული გრუმინგი, კერძოდ, გრუმინგის სინტაქტური ჯაჭვის და მისი ცეფალო-კაუდალური მიმართულების რღვევა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადამიანის ზოგიერთი ფსიქო-ნერვული დარღვევის ექსპერიმენტულ მოდელად.


საკვანძო სიტყვები: გრუმინგი, მიკროსტრუქტურა, ტრანსლაციური მედიცინა, კლინიკური მედიცინა, სტრესი

გრუმინგი, ანუ თავის მოვლის ქცევა ახასიათებს თითქმის ყველა ხერხემლიანს ადამიანის ჩათვლით და მიმართულია სხეულის ბიოლოგიური ფუნქციების მოწესრიგებისკენ. ამავდროულად, გრუმინგი ვითარდება სტრესულ სიტუაციაში სტრესორის მიერ ორგანიზმში გამოწვეული პროცესების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, გრუმინგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ქცევის პათოლოგიის ექსპერიმენტული მოდელი, როდესაც გრუმინგის ჩვეული პატერნი ირღვევა გარეგანი ან შინაგანი სტრესორის ზეგავლენით. ბოლო დროს ცხოველების, კერძოდ, ვირთავების გრუმინგი გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს)

არაერთი დაავადების მოდელად; გრუმინგის ანალიზი მნიშვნელოვანია ნეირობიოლოგიური კვლევებისთვის, რადგან ის იძლევა მოძრაობის კოორდინაციის, სენსომოტორული და ნეიროენდოკრინული დარღვევების მიზეზების გარკვევის შესაძლებლობას. ამრიგად, გრუმინგის კვლევას დიდი პოტენციალი აქვს ტრანსლაციურ მედიცინაში [15].

ცნობილია, რომ მდრღნელებში გრუმინგი ჩვეულებრივი მოვლენაა და შეადგენს მათი ფხიზლად ყოფნის პერიოდის 30%-50%-ს. იგი მრავალ ფუნქციას მოიცავს, როგორიცაა ბეწვის მოვლა, თერმორეგულაცია, სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების განაწილება სხეულის ზედაპირზე და სხვ. ბიოლოგიური ფუნქციების გარდა, გრუმინგი წარმოადგენს ქცევის მნიშვნელოვან ელემენტს და შედგება თავისებური რიტუალებისგან, რომლებსაც გარკვეული მიმდევრობა გააჩნია. გრუმინგი ვლინდება როგორც კომფორტულ, ასევე სტრესულ მდგომარეობაში, რაც მის ორმაგ ბუნებაზე მეტყველებს. ტრადიციულად, გრუმინგი კომფორტული ქცევის კატეგორიას მიეკუთვნება დაბანასთან, მოქნარებას და გაზმორვასთან ერთად, მაგრამ, ამავდროულად, იგი ვლინდება სტრესის დროსაც და წარმოადგენს სტრესული ქცევის მარკერს. გრუმინგის ბიმოდალობა, ანუ მისი კომფორტული და სტრესული ბუნება აიხსნება ზოოეთოლოგიის კუთხითაც. კომფორტულ მდგომარეობაში მდრღნელების გრუმინგი არის ფიქსირებულ მოქმედებათა კომპლექსი, სახეობისთვის დამახასიათებელი გენეტიკურად განპირობებული სტერეოტიპული, მკაცრად თანმიმდევრული მოძრაობითი აქტები. იგი ევოლუციურად ძველი ფენომენია. სტრესის და დისკომფორტის დროს გრუმინგი იღებს „გადახრილი“ აქტიურობის სახეს. განსაკუთრებით ხშირად მდრღნელების ქცევაში გვხვდება გადატვირთვები: გრუმინგი-გარინდება, ფრიზინგი-ყნოსვითი მოძრაობები. ეს კი მიუთითებს ეთოლოგიურ კვლევებში გრუმინგის, როგორც ქცევითი მაჩვენებლის პოტენციურ ჰეტეროგენობასა და პოლიმოდალობაზე და ავლენს გრუმინგის კავშირს სტრესის მიმართ მგრძნობიარე ქცევით სხვა მახასიათებლებთან [6, 25]. ამავე დროს, ცხოველების გრუმინგი პროცესია, რომელშიც შეხამებულია სტრესის ქცევითი და ენდოკრინული კომპონენტები და გამოიწვევა სტრესული ჰორმონებით. გრუმინგი ზრდის ენდორფინების სეკრეციას, რომელიც ამცირებს განგაშის სტადიის დონეს. კერძოდ, ავტოგრუმინგი არის ქცევის ფორმა, რომელიც აღიძვრება ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზური ღერძის გააქტიურებით და შესაბამისი ჰორმონების გამოყოფის გაძლიერებით. ჰიპოთალამუსის ჰორმონი კორტიკოლიბერინი და ჰიპოფიზის ჰორმონები (ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი, ვაზოპრესინი, ოქსიტოცინი) ასტიმულირებს გრუმინგს. გრუმინგი იზრდება აღნიშნული ჰორმონების როგორც სისტემური შეყვანით, ასევე თავის ტვინის პარაკუჭებსა და ჰიპოთალამუსში შეყვანითაც. ამრიგად, გრუმინგი არის პროცესი, რომელშიც გადაკვეთილია სტრესის ქცევითი და ენდოკრინული კომპონენტები. ამავდროულად, გრუმინგი ზრდის ენდორფინების სეკრეციას, რაც იწვევს ეიფორიულ მდგომარეობას, ამცირებს შფოთვის დონეს და ასუსტებს სტრესულ რეაქციებს [25].

გრუმინგის მიკროსტრუქტურა წარმოადგენს შაბლონური მოძრაობების (fixed action) ფიქსირებულ მოქმედებებს, სახეობისთვის დამახასიათებელ ინსტიქტურ ქცევით თანამიმდევრობას, რომელსაც აქვს მკაცრად განსაზღვრული პატერნი: ცალკეული ელემენტები და მათი დროში განფენილი თანამიმდევრობა და რთული, სეკვენირებული ორგანიზაცია (პატერნირება). მღრღნელებში გრუმინგი იწყება იმით, რომ ცხოველი ილოკავს წინა თათებს, შემდეგ იგი ელიფსოიდური მოძრაობებით იყენებს თავის ორ დასველებულ თათს ცხვირის მიდამოს გასაწმენდად; მას შემდეგ, რაც დაასრულებს ცხვირის წმენდას, იგი იყენებს ერთ თათს, რათა გაიწმინდოს ვიბრისები და თვალის მიდამო. შემდეგ კი იყენებს ორივე წინა თათს, რათა დაამთავროს გრუმინგი თავის, ყურების და ყურსუკანა მიდამოში. ამის შემდეგ მღრღნელი შეუდგება ტანის მოვლას, ილოკავს მუცელსა და ზურგს. ბოლო ნაბიჯი თანამიმდევრულ გრუმინგში გენიტალიების და კუდის მოვლაა. ეს არის ცეფალო-კაუდალური გრუმინგი, ანუ ბაუტი. ამ-რიგად, ცეფალო-კაუდალური პროგრესია მღრღნელებში წარმოადგენს გრუმინგული ქცევის საერთო წესს, რომელიც იწყება ცხვირიდან და გრძელდება თავის, ტანის, გენიტალიების და კუდის მიმართულებით.




სურ 1. სინტაქტური გრუმინგული ჯაჭვის პატერნი მღრღნელებში (Kalueff et al., 2007)

ამ კომპლექსში ცალკე გამოიყოფა სინტაქტური ჯაჭვი, რომელიც შედგება ოთხი თანამიმდევრული ფაზისგან: 1. როსტრალური (წინა თათების ლოკვა ან მათი გასმა ცხვირზე და პირზე) – გრძელდება 1 წმ; 2. უნი-ლატერალური (ცხვირ-სახის) გრუმინგი – გრძელდება 0.25 წმ. მას ასევე უწოდებენ სახის გრუმინგს; 3. ბილატერალური (წინა თათების გადსმა ყურების მიდამოებში ორივე მხარეს) – გრძელდება 0,75 წმ. მას ასევე უწოდებენ თავის გრუმინგს. 4. სხეულის გრუმინგი – დროში ცვალებადია და ძირითადად გრძელდება 2 წმ. ეს უკანასკნელი გადადის სხვა გრუ-

მინგულ მოძრაობებში (უკანა თათების, გენიტალიების, კუდის ფხანა და ლოკვა), რომელიც არ ეკუთვნის სინტაქტურ ჯაჭვს [15].

ექსპერიმენტული კვლევის დროს მეთოდურად მოსახერხებელია გრუმინგის გრაფიკული ეთოგრამების შექმნა, რომელიც კარგად ასახავს გრუმინგის სტადიებს, მათ მიმდევრობას, სიმეტრიულობას, ხანგრძლივობას და სიხშირეს.



სურ 2. სინტაქტური გრუმინგული ჯაჭვის ეთოგრამა (Cromwell and Berridge, 1996)

გრუმინგის სიმეტრიულობა დადებითი მაჩვენებელია ნორმისა და სტრესის დროს. მთლიანობაში, პათოლოგიური გრუმინგი ხასიათდება მაღალი დონის ასიმეტრიულობით (უპირატესად, სხეულის ერთი ნახევრის გრუმინგი), განსაკუთრებით ტანის გრუმინგის დროს, თუმცა ასიმეტრიულობა არ არის პათოლოგიის აუცილებელი მაჩვენებელი. მაგალითად, თაგვებსა და ვირთაგვებში გრუმინგი ეთოლოგიურად განსხვავდება სიმეტრიულობით. თავგებს მეტად სიმეტრიული გრუმინგული მოძრაობები აქვთ, ვიდრე ვირთაგვებს [3]. ამრიგად, გრუმინგის ასიმეტრიულობა, როგორც პათოლოგიის მარკერის, უფრო საინტერესოა ტანის გრუმინგის შემთხვევაში.

გრუმინგის მნიშვნელოვან მახასიათებლად ითვლება მისი ახალი გრუმინგული თანამიმდევრობების აღბათობა, ანუ ახალი გრუმინგული მოდელების ინიციატორი. გრუმინგის ინიციატორების კვლევა, შესაძლოა, უფრო ნათელს ხდიდეს გრუმინგის დინამიკას და ხარისხს. მასთან ერთად მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინიცირებული გრუმინგის დასრულების უნარი ყველა თანამიმდევრული სტადიის შენარჩუნებით. რიტუალი ითვლება დასრულებულად, თუ მან მიაღწია სხეულის გრუმინგს და არ

შეწედა სინტაქტური გრუმიზის დროს, ხოლო გენიტალიებსა და კუდს – ცეფალო-კაუდალური გრუმიზის დროს [4]. გრუმიზის ანალიზის დროს ინიციაცია/დასრულებამ გამოავლინა ზოგიერთი სხვა ეთოლოგიური თავისებურება. კერძოდ, ნაპოვნია ეთოლოგიური პრედიქტორი იმისა, რომ ინიცირებული გრუმიზი დასრულებულია, თუ მიაღწევს სხეულის გრუმიზს. როგორც აღმოჩნდა, საწყის სტადიაზე ელიფსოიდური მოძრაობების სისწრაფე ცხვირის გარშემო განაპირობებს გრუმიზული რიტუალის დასრულება-დაუსრულებლობას. გრუმიზი, რომელიც დასრულებული იქნება, აბორტულთან შედარებით, იწყება ცხვირის მიდამოში უფრო ჩქარი და ხშირი ელიფსოიდური მოძრაობებით. ამ მოვლენას გახურების ეფექტი, ანუ warm-up უწოდეს [3]. გრუმიზის ფაზების არასწორი გადასვლების პროცენტი (საერთო რაოდენობიდან) და გრუმიზის შეწყვეტილი აქტების პროცენტი (ბაუტების საერთო რაოდენობიდან) გამოიყენება სტრესის ქცევითი პარამეტრების მაჩვენებლად და წარმოადგენს ავტოგრუმიზის ერთადერთ პარამეტრს, რომლის ცვლილებაც სარწმუნოდ ასახავს ცხოველზე მოქმედი სტრესორების მაჩვენებლებს [12, 13].

ტრანსლაციური მედიცინის თვალსაზრისით, მღრღნელების გრუმიზი შესაძლოა წარმოადგენდეს მეტ-ნაკლები ადეკვატურობითა და ალბათობით, როგორც სხვადასხვა მოდალობის გამღიზიანებლების (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური) ორგანიზმზე სტრესული ზემოქმედების, ასევე სამკურნალო პრეპარატების მოქმედების ეფექტების შესასწავლ მოდელს [19]. გრუმიზის მექანიზმების კვლევამ შესაძლოა დახმარება გაავსოს ცნს-ის ზოგიერთი დაავადების (ტურეტის სინდრომი, ობსესიურ-კომპულსური აშლილობა, პარკინსონის დაავადება, შიზოფრენია, ეპილეფსია და სხვ.) პათოგენეზის შესწავლაში, რომელთაც საფუძვლად უდევთ ბაზალურ განგლიებსა და სხვა ტვინოვან სტრუქტურებში აღმოცენებული პათოლოგიური ცვლილებები [5, 10, 16]. ნეირობიოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ ზრდასრული მღრღნელების გრუმიზი შედგება სპეციფიკური და საკმაოდ სტერეოტიპული, თანმიმდევრული პატერნებისგან, რასაც სინტაქტურ ჯაჭვს უწოდებენ და მოიცავს როსტრალურ და ტანის გრუმიზს (მთავრდება ტანის გრუმიზით). სტერეოტიპია ამ შემთხვევაში გულისხმობს განმეორებად ქცევას (არანორმალური ან გადაჭარბებული), ანუ ერთი და იგივე ქცევითი მოძრაობების, მოქმედების შესრულებას დროის გარკვეულ მონაკვეთში. გრუმიზის სინტაქტური ჯაჭვები შეიცავს სხვა ფიქსირებულ მოქმედებათა პატერნების მსგავს ნიშნებს, როგორიცაა სექსუალური და აგრესიული ქცევა. ტიპური სინტაქტური ჯაჭვი ხშირად არის ჩართული მღრღნელების სხვა გრუმიზულ ქცევაში, მაგრამ მისგან ცეფალო-კაუდალური მიმართულებით (თავი-ტანი) და სტერეოტიპულობით განსხვავდება. იგი გრუმიზული ქცევის 10-15%-ს შეადგენს. სეკვენირებულ, ანუ თანამიმდევრულ გრუმიზულ მოძრაობებზე, მათ ინიციაციასა და დასრულებაზე პასუხისმგებელია თავის ტვინის დოფამინ-შემცველი ნიგროსტრიატული ტრაქტი და ბაზალური ბირთვები, ასევე სხვადასხვა დოფამინერგული პრეპარატების ზემოქმედება, გენეტიკური მუტაციები და

ფსიქოგენური სტრესორები. სინტაქტური ჯაჭვი, ჩვეულებრივ, გადაიკვეთება ნაკლებად სტერეოტიპულ, არასინტაქტურ გრუმინგთან, რომელშიც შედის ფხანა, ღოკვა, კუდისა და გენიტალიების გრუმინგი. ეს უკანასკნელი შეადგენს ყველა გრუმინგული ქცევის 85-90%-ს [12]. ეთოლოგიური ანალიზით გამოყარებული გრუმინგული ქცევა, რომელიც მოიცავს როგორც ჯაჭვურ, ასევე არაჯაჭვურ გრუმინგს, ფართოდ გამოიყენება ნეირობიოლოგიურ კვლევებში. ამრიგად, შეგვიძლია შევისწავლოთ სწორი და არასწორი ცეფალო-კაუდალური მიმართულების გადასვლები გრუმინგის ფაზებს შორის, ასევე ინტერვალები მათ შორის და რეგიონალური განაწილება მთელ ორგანიზმზე [13]. გრუმინგული ქცევის სეკვენირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს თავის ტვინის ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა სტრიატუმი, შავი სუბსტანცია, მკრთალი ბირთვი, სუბთალამური ბირთვები და სხვ. [1].

ბაზალური ბირთვები, განსაკუთრებით სტრიატუმი და მისი დოფამინური შემავალი გზები აკონტროლებს მღრღნელების გრუმინგის მოტორულ ქცევას და მათ თანამიმდევრობას. ნეოკორტექსი მონაწილეობს გრუმინგული მოძრაობების საერთო მოდულაციაში, აგზავნის რა აგზნებით პროექციებს სტრიატუმში და იღებს ამაგზნებელ აფერენტებს თალამუსისა და ნუშისებრი სხეულისგან. ნათხემი, რომელსაც მრავალი კავშირი აქვს ბაზალურ ბირთვებში, თალამუსში, თავის ტვინის ქერქში, ნუშისებრ სხეულში, თავის ტვინის ღეროსა და ზურგის ტვინში, მონაწილეობს გრუმინგული ქცევის კონტროლსა და მათ მოძრაობათა კოორდინაციაში. ნუშისებრი სხეული (ნეირონული კავშირებით ქერქთან, თალამუსთან, ჰიპოთალამუსთან, ბაზალურ განგლიებთან და ღეროსთან) მონაწილეობს გრუმინგული ქცევის მოდულაციაში, მაგალითად, სტრესის დროს. ჰიპოთალამუსი დაკავშირებულია ნათხემთან, ქერქთან, ნუშისებრ სხეულთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრუმინგის ნეიროენდოკრინულ რეგულაციაში. ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური სისტემა, ისევე როგორც ჰიპოთალამუსის და ჰიპოფიზის ზოგიერთი ჰორმონი, იწვევს გრუმინგული ქცევის მოდულაციას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტრესთან დაკავშირებული პეპტიდები: კორტიკოტროპული რილიზინგ ჰორმონები (CRH) და ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი (ACTH), რომლებიც პოტენციურად ინდუცირებს გრუმინგს.

ასევე უნდა აღინიშნოს თავის ტვინის ღერო, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გრუმინგული ქცევის ინიციაციაში და ძირითადი, თანამიმდევრული პატერნების, განსაკუთრებით კი სინტაქტური ჯაჭვის გენერირებაში; თუმცა, მხოლოდ თავის ტვინის ღერო არ არის საკმარისი ამ პატერნების რეალიზაციაში, რადგან ის სტრიატუმის მონაწილეობასაც მოითხოვს [16].

ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენდოგენური ნივთიერებები, როგორიცაა ნეირომედიატორები (დოფამინი,

გამაამინოერბოსმჟავა, სეროტონინი), ჰორმონები (ადრენოკორტიკოტროპინი, ვაზოპრესინი, ოქსიტოცინი, პროლაქტინი, ბომბეზინი, კორტიკოტროპული რილიზინგ ჰორმონები), ოპიოიდური ნივთიერებები, ასევე თავის ტვინის სხვადასხვა უბნები, განსაკუთრებით ბაზალური განგლიები და ჰიპოთალამუსი, მონაწილეობენ მღრღნელების გრუმინგის წარმოშობასა და რეგულაციაში.

სხვადასხვა ფსიქოტროპული პრეპარატები (მაგალითად, დიაზეპამი) ასევე მოქმედებს გრუმინგზე, რაც მთლიანობაში კარგ ინსტრუმენტს ქმნის ამ ფენომენის ქცევით ნევროლოგიაში ანალიზისთვის [6].

არსებობს გრუმინგის ანალიზის ორი მეთოდი: გრუმინგის ანალიზის ალგორითმი და გრუმინგის სინტაქტურობა. პირველი მეთოდი გულისხმობს გლობალურად გრუმინგზე დაკვირვებას: სინტაქტური ჯაჭვის, ასევე ფხანის, კუდის და გენიტალიების ლოკის ჩათვლით, ფასდება ცეფალო-კაუდალურობის გამოხატულება (საიდან დაიწყო გრუმინგი – უღვაშიდან, კუდის და გენიტალიებისკენ, თუ არეულად), ასევე გრუმინგის ფაზების თანამიმდევრობა.

გრუმინგის ანალიზის მეორე მეთოდი გულისხმობს გრუმინგის სინტაქტურობის კვლევას. ამ მეთოდის მიხედვით, ქცევა იყოფა ორ ნაწილად: ჯაჭვური (სინტაქტური) და არაჯაჭვური გრუმინგი. ჯაჭვური გრუმინგი ჩართულია სხვა არაჯაჭვური გრუმინგული მოძრაობების კომპლექსში, ის გადადის სხვა გრუმინგულ მოძრაობებში, რომელიც არ ეკუთვნის სინტაქტურ გრუმინგს. სინტაქტურ გრუმინგს ახლავს დოფამინის D1 რეცეპტორების გააქტიურება, რაც ხელს უწყობს სინტაქტური მოქმედების განვითარებას. მისი ჩაქრობა ხდება დოფამინის D2 რეცეპტორების გააქტიურებით [23].

მეთოდოლოგიურად გრუმინგის გამოწვევა ხდება სხვადასხვა სტრესორების ზემოქმედებით, როგორიცაა ძლიერი სინათლის ზემოქმედება, წყლის მიწეწევა, კუდის მოქაჩვა, ცურვა, სპონტანური გრუმინგი (ინდუცირებული ახალი გარემოთი), უმოძრაობა [15, 17, 20, 22].

გრუმინგის კვლევისთვის გამოიყენება სხვადასხვა ქცევითი ტესტები: 1. „წებოვანი ლენტის მოცილება“ – წებოვანი ლენტი თავსდება ვირთავის სხეულზე, ცხოველი გრძნობს მას და გრუმინგული მოძრაობების საშუალებით ცდილობს მის მოცილებას. აღნიშნული ტესტი გამოიყენება მღრღნელებში გრუმინგული მოძრაობების უნარის შესასწავლად; 2. „სოციალური ურთიერთობის ტესტი“ – იგი გამოიყენება სოციალურ კონტექსტში გრუმინგულ ქცევაზე დასაკვირვებლად. აღნიშნულ ტესტში ორ მღრღნელს ათავსებენ ერთ გალიაში და აკვირდებიან მათ ქცევას (ალოგრუმინგი და სელფგრუმინგი); 3. „სამკამერია ტესტი“ – მას ასევე უწოდებენ კომუნიკაბელობის კამერას. გამოიყენება ნაცნობი და უცხო

მდრღნელის (ახლად გაცნობილი) კოგნიტური უნარებისა და გრუმინგის შესაფასებლად. ჩვეულებრივ, ცხოველი დიდ დროს უთმობს ახლად გაცნობილი ცხოველის შესწავლას, ვიდრე ნაცნობის. აღნიშნული ტესტი გვეხმარება თავგებისა და ვირთაგებებში კომუნიკაბელურობის დეფიციტის გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ სამკამერიანი ტესტი გამოიყენება სოციალური ურთიერთქმედების კვლევისთვის, გრუმინგული ქცევა ბუნებრივად გამოიკვეთება დაკვირვების პროცესში და მკვლევარს შეუძლია ამ ფენომენის სტრუქტურული და რაოდენობრივი ანალიზის გაკეთება; 4. „შესხურებით გამოცდა“ – ამ ტესტში მდრღნელს ერთჯერადად ასველებენ წყლის შხეფებით, ათავსებენ პლექსიგლასის გამჭვირვალე კამერაში და აკვირდებიან გრუმინგს. შესხურების ტესტი არის ექსპერიმენტულ პირობებში გრუმინგის გამოწვევის მარტივი ხერხი, სადაც წყალი წარმოადგენს აღნიშნული ქცევის გამწვევ სტიმულს; 5. „ღია ველში გამოცდა“ – ეს ტესტი გამოიყენება შფოთვის და კვლევითი აქტიურობის შესასწავლად. ღია ველი წარმოადგენს რა ახალ გარემოს და იწვევს ცხოველის სტრესს, მისი გამოყენებით გრუმინგის კვლევა ძალიან ინფორმაციულია; 6. „ჯვარედინი ამადლებული ლაბირინთის ტესტი“ – ეს არის ტესტი, რომელიც ითვლება „ოქროს სტანდარტად“ შფოთვისთან დაკავშირებული ქცევის შესასწავლად. აღნიშნული ტესტით მდრღნელი ხვდება სტრესულ სიტუაციაში და მისი ქცევითი რეაქციები შეისწავლება და ფიქსირდება შემდგომში. გრუმინგი შეიძლება პროვოცირებული იყოს შფოთვით, შესაბამისად, აღნიშნული ტესტი გრუმინგული ქცევის შესასწავლადაც მოსახერხებელია; 7. „მტაცებლით ან მტაცებლის სუნით ზემოქმედების ტესტი“ – აღნიშნულ ტესტში სტრესორად შეიძლება გამოყენებული იყოს ვირთაგვა თავგის წინააღმდეგ, გველი ვირთაგვას ან თავგის წინააღმდეგ, ასევე შესაძლებელია რომელიმე მტაცებლის სუნის გამოყენება. ამრიგად, აღნიშნული ტესტით გამოიწვევა სტრესული გრუმინგი მისთვის დამახასიათებელი ყველა პარამეტრით [7, 24].

ფარმაკოლოგიური პრეპარატები განსხვავებულად მოქმედებს გრუმინგულ ქცევაზე: ალოგრუმინგს ამცირებს ვალპროის მჟავა, XAV939, L-დოფა. ოქსიტოცინის ანტაგონისტ ნივთიერებებს შეუძლია ალოგრუმინგის გაძლიერება. ცეფალო-კაუდალურ გრუმინგს აძლიერებს დიაზეპამი. იგი GABA-ერგული ანქსიოლიტური ნივთიერებაა, რომელიც მოქმედებს გრუმინგის ცეფალო-კაუდალურ მიმართულებაზე, ამცირებს შეწყვეტილი გრუმინგების რაოდენობას და გრუმინგის ფაზებს შორის არასწორი გადასვლების საერთო პროცენტს, ფლოუქსეტინი (კომერციული სახელწოდება – პროზაკი) წარმოადგენს სეროტონინის უკუმიტაცების სელექტიურ ინჰიბიტორს, ამცირებს ცეფალო-კაუდალური გრუმინგის საერთო რაოდენობას.

გრუმინგულ ქცევაზე ანალოგიურად მოქმედებს ამიტრიპტილინი, რომელიც წარმოადგენს ტრიციკლურ ანტიდეპრესანტს გამოხატული სედატიური ეფექტით [7, 14].

საყოველთაოდ ცნობილია ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის როლი ქცევის, მათ შორის კომპლექსური, კოგნიტური ქცევის რეგულირებაში. მაგალითად, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის ინტრაცერებრული მიკროინექციის შედეგად ექსცესიური გრუმინგი ძლიერდება [11, 21].

ფარმაკოლოგიური მანიპულაციებით შესაძლებელია მღრღნელებში გრუმინგის ეფექტური მოდულირება. დოფამინი მთავარი მოდულატორია მეზოლიმბურ და ნიგროსტრიატულ სისტემებში. ტვინის დოფამინერგული სისტემა მრავალი ფიზიოლოგიური ფუნქციის რეალიზაციაში მონაწილეობს, როგორცაა მოტორიკა, ემოციების და ქცევის მოტივაციური კომპონენტები, პირობითრეფლექსური მოქმედება, ქცევის სპეციფიკური (როტაციული, აგრესიული, სტერეოტიპული) ფორმები, მათ შორის – გრუმინგი [26]. მღრღნელებში დოფამინური D1 რეცეპტორების სტიმულაცია (მაგალითად, D1 აგონისტების სისტემური შეყვანა) აძლიერებს რთულ ქცევით სუპერსტერეოტიპულობას, ახდენს გრუმინგული ჯაჭვების, მათ შორის განსაკუთრებით მყარი სტერეოტიპული ჯაჭვების ჭარბ პროდუცირებას. D2 რეცეპტორების აგონისტების სისტემური შეყვანა, მაგალითად, ჰალოპერიდოლის, ხელს უშლის გრუმინგის თანამიმდევრობის სტერეოტიპულობას [15].

ცნობილია, რომ რთული თანამიმდევრული გრუმინგული ქცევის შესრულებისა და კოორდინაციისთვის აუცილებელია ნიგროსტრიატული სისტემის ნორმალური ფუნქციონება. ნ-ჰიდროქსიდოფამინის, კაენის მჟავის და ზოგიერთი სხვა ნეიროტოქსინის აღნიშნულ უბანში ინტრაცერებრული მიკროინექციის შედეგად ირღვევა სტერეოტიპულ მოძრაობათა სტრუქტურა, რაც დაკავშირებულია დოფამინერგული რეცეპტორების დაზიანებასთან [2].

მღრღნელების სხვადასხვა შტამებს გრუმინგული ქცევა განსხვავებულად აქვს გამოხატული. მაგალითად, ალოგრუმინგის დაბალი დონით გამოირჩევა BTBR, NF-kB, p-50, EN2-/- თაგვების შტამები, ხოლო R117X – ალოგრუმინგის მაღალი დონით; ცეფალო-კაუდალური გრუმინგი სუსტად არის გამოხატული 129S1 შტამში, ხოლო BALB/c და NMRI შტამებში იგი ნორმალურად ვლინდება. სელფგრუმინგი მაღალ დონეზეა გამოხატული Ninj1 knockout შტამში, SAPAP3-mutant-ი ასევე ავლენს სელფგრუმინგის მაღალ დონეს; BTRB შტამში ვლინდება როგორც სელფგრუმინგის, ასევე სხვა განმეორებადი ქცევების მაღალი დონე. SHANK3-ი ავლენს ისეთი დონის სელფგრუმინგს, რომ აზიანებს საკუთარ სხეულს [7].

აღსანიშნავია, რომ ავტოგრუმინგი, განსაკუთრებით კი მისი მიკროსტრუქტურა, მგრძნობიარეა ანქსიოლიტური საშუალებების მიმართ, რაც ბადებს შფოთვის საწინააღმდეგო პრეპარატების ფსიქოფარმაკოლოგიური კვლევის ახალ პერსპექტივებს. კვლევებით ნაჩვენებია, რომ ზოგიერთი GABA-ერგული ანქსიოლიტური საშუალების (დიაზეპამი, კორაზოლი)

მიმართ გრუმინგის ცეფალო-კაუდალური განვითარება და მისი წყვეტა განსაკუთრებით მგრძნობიარეა. შესაბამისად, გრუმინგის მიკროსტრუქტურის ეთოლოგიური ანალიზი შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შფოთვის ქცევით ფარმაკოლოგიაში [14].


კლინიკურ პრაქტიკაში შფოთვითი აშლილობების სამკურნალო ანქსიოლიტური ფარმაკოლოგიური საშუალებები ფართოდ გამოიყენება, მაგრამ ისინი ძვირია და ახასიათებთ არასასურველი გვერდითი მოვლენები, მოსალოდნელია, განვითარდეს წამალდამოკიდებულება და მასთან დაკავშირებული სტიგმა. ამიტომ საინტერესო იქნებოდა ახალი, აღნიშნული ნაკლოვანებებისგან თავისუფალი ანქსიოლიტური საშუალებების მოძიება. ამ მხრივ საყურადღებოა მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული ბუნებრივი ანქსიოლიტური საშუალებები, გამორჩეული ნაკლები გვერდითი ეფექტებით, დაბალი ღირებულებით, მოსახლეობის ფართო წრისთვის ხელმისაწვდომობით. მღრღნელებში ავტოგრუმინგის მაღალი მგრძნობელობა სტრეს-ფაქტორების და ასევე ბუნებრივი ანქსიოლიტური საშუალებების მიმართ კარგ შესაძლებლობას ბადებს სედატიური ფიტოპრეპარატების გამოსაცდელად.

ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევებით ნაჩვენებია, რომ *Melissa officinalis* L-ის ნაყენი სტრესულ გარემოში მყოფ ვირთაგვებში ამცირებს შფოთვას [18].

მცენარეთა მრავალი სახეობა გამოიყენება სტრესისა და შფოთვითი აშლილობების სამკურნალოდ, ამ თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილია კავკასიის და საქართველოს ენდემურ მცენარეთა სახეობები და მათი გავლენა გრუმინგზე [19].

ასევე ხაზგასასმელია ავტოგრუმინგის და მისი მიკროსტრუქტურის განსაკუთრებული მგრძნობელობა სხვადასხვა დოფამინერგული დისფუნქციების მიმართ, რაც საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ აღნიშნული სისტემის როლი ცნს-ის პათოგენეზის მექანიზმებში [4]. გარდა ამისა, ავტოგრუმინგის ანალიზი ცნს-ის დაუდგენელი ეტიო-პათოგენეზის მქონე დაავადებების (ტურეტის სინდრომი, ობსესიურ-კომპულსური აშლილობა და სხვ.) ცხოველურ მოდელებში მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს. მღრღნელების ავტოგრუმინგი მოგვაგონებს აღნიშნული პათოლოგიის დამახასიათებელ მრავალ სიმპტომს, რომელთა პათოგენეზში ჩართულია ბაზალური ბირთვები. ეს სტრუქტურები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გრუმინგის ინიციაციასა და მოდელირებაში. ჟილ-დე-ლა-ტურეტის სინდრომის და ობსესიურ-კომპულსური აშლილობის მქონე პაციენტები ავლენენ მოქმედების, აზროვნების და მეტყველების სუპერსტერეოტიპიას, ასეთივე რთული, სტერეოტიპული სტრუქტურა გააჩნია მღრღნელებში გრუმინგის სინტაქტურ ჯაჭვს, რომელიც შედგება ფიქსირებულ მოქმედებათა კომპლექსებისგან, რაც მკაცრად სეკვენირებულია [5].

განვიხილოთ მოსალოდნელი გრუმინგული ქცევა ნეიროფსიქიატრიული და ნეიროდეგენერაციული დარღვევების ცხოველურ მოდელებში: აბერანტულ გრუმინგს შეიძლება დავაკვირდეთ რამდენიმე ფსიქონევროლოგიური აშლილობის ცხოველურ მოდელში (თავი, ვირთავა). თითოეული დაავადების მოდელს, როგორც მოსალოდნელია, აქვს თავისი დამახასიათებელი გრუმინგული ქცევის ფენოტიპი. კვლევებით ნაჩვენებია გრუმინგული ქცევის მოსალოდნელი ფენოტიპი, რომელიც მიეკუთვნება დაავადებათა კონკრეტულ მოდელებს (იხ. სურ. 3).



სურ. 3. მოსალოდნელი გრუმინგული ქცევა ნეიროფსიქიატრიული და ნეიროდეგენერაციული დარღვევების ცხოველურ მოდელებში (Kalueff A.V. et al., 2016)

დერძი X წარმოადგენს გრუმინგული აქტიობის სიდიდეს, რომელიც შეიძლება შეფასდეს დაბალი სიხშირის გრუმინგული აქტიურობიდან მაღალი სიხშირის გრუმინგულ აქტიურობამდე ან დროის მონაკვეთში გრუმინგის მოკლე ხანგრძლივობიდან გახანგრძლივებულ აქტიურობამდე. დერძი Y გვიჩვენებს თანამიმდევრული პატერნების ხარისხს, რომელიც ვარირებს მკაცრი და განმეორებადი გრუმინგული ქცევიდან უფრო მოქნილ, ნაკლებად სტერეოტიპულ გრუმინგულ ქცევამდე. ამ დიაგრამაზე მდრღნელების გრუმინგის „მკაცრი“ პატერნი დაფუძნებულია ცეფალო-კაუდალური პროგრესიისადმი მაღალ მიდრეკილებაზე და მაქსიმალურად ვლინდება ჯაჭვური გრუმინგის დროს, ხოლო „მოქნილი“ პატერნირება გამოიხატება ხშირი რღვევით და მაქსიმალურად ვლინდება არაჯაჭვური გრუმინგის დროს. მაგალითად, SAPAP3 თავგები, რომელთაც ახასიათებთ ობსესიურ-კომპულსური აშლილობის მსგავსი ქცევა, ხარჯავენ მეტ დროს გრუმინგზე და მათი ეს ქცევა ბევრად უფრო განმეორებადია საკონტროლო უჯიშო თავგებთან შედარებით. შფოთვის ცხოველური მოდელები ასევე გვიჩვენ-

ნებენ ხანგრძლივ გრუმინგს, მაგრამ გრუმინგული აქტიურობის სეკვენირება დარღვეულია. საპირისპიროდ, პარკინსონის დაავადებისა და ალცჰეიმერის სინდრომის მსგავსი მოდელები ავლენენ გრუმინგის გლობალურ, პროგრესირებად დეფიციტს მოძრაობითი დარღვევების გამო.

ავტოგრუმინგის შეფასება ცხოველების ნევროლოგიური ტესტირების მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება, რაც გვეხმარება მოტორული ფუნქციის, მოძრაობის კოორდინაციის და სხვა დარღვევების გამოვლენაში [12, 13].

ამრიგად, გრუმინგის კვლევას დიდი პოტენციალი გააჩნია როგორც ზოოეთოლოგიური, ასევე ტრანსლაციური მედიცინის კუთხით. გრუმინგის ანალიზი შეუცვლელი ინსტრუმენტია ქცევის ნეირობიოლოგიურ კვლევაში და გვეხმარება სტრესის და ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებების ახალი, საინტერესო ექსპერიმენტული მოდელის შექმნაში. თავის მხრივ, ცხოველურ მოდელებზე მიღებული ტრანსლაციური მედიცინის ფუნდამენტური კვლევების შედეგები პერსპექტიულს გახდის კლინიკური მედიცინის მიღწევებს ადამიანთა მთელი რიგი უცნობი ეტიო-პათოგენეზის, განსაკუთრებით ფსიქონევროლოგიური და სხვა გენეზისის დაავადებათა ზუსტი დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მეთოდების შემუშავების თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. Aldridge W.J., Berridge K.C., Rosen A.R. J. Physiol. Pharmacol., 2004, 82, 723-739.
2. Berridge K.C. Psychobiology, 1989, 17, 377-385.
3. Berridge K.C., Whishaw I.Q. Exp. Brain Res., 1992, 90(2), 275-90.
4. Berridge K.C., Aldridge J.W. Synapse, 2000, 37, 205-215.
5. Berridge K.C., Aldridge J.W., Houchard K.R., Xiaoxi Zh. BMC Biology, 2005, 3, 4, 1-16.
6. Canavella P.R., Cacht J.M., Hart P.C., Murphy D.L., Kalueff A.V. Behavioral phenotyping of mouse grooming and barbering, Cambridge University Press, 2013, v. 1, section 3, 195-204.
7. <http://www.conductscience.com>
8. Cromwell H.C., Berridge K.C. J. Neurosci., 1996, 15, 16(10), 3444-58, doi: 10.1523/JNEUROSCI.16-10-03444.1996.
9. Cromwell H.C., Berridge K.C. The Journal of Neuroscience, 1996, 16(10), 3444-3458.
10. Feusner J., Hembacher E., Phillips K.A. CNS Spectr., 2009, 14(9), 503-513.
11. Gispén W.H., Isaacson R.L. Pharmac. Ther., 1981, 12, 209-246.
12. Kalueff A.V., Touhima P. Brain Res. Protocol, 2004, 13, 151-158.
13. Kalueff A.V., Touhima P. J. Neurosci. Methods, 2005, 143, 169-177.
14. Kalueff A.V., Touhima P. Eur. J. Pharmacol., 2005, 508, 147-153.
15. Kalueff A.V., Aldridge J.W., Laporte J.L., Murphy D.L., Touhima P. Nature protocols, 2007, 2(30), 2538-2544.
16. Kalueff A.V., Stewart A.M., Cai Song, Berridge K.C., Graybiel A.M., Fentress J.C. Nature Reviews, 2016, 17(1), 45-59.
17. Komorowska J., Pellis S.M. Behavioural Processes, 2004, 67, 287-293.
18. Makashvili M., Bagashvili T., Andronikashvili G., Gurashvili T., Akhobadze N., Gogeshvili K., Okujava M. Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, 46, N3-4, 129-135.

19. *Makashvili M., Andronikashvili G., Bagashvili T., Gurashvili T., Gogeshvili K., Nadiradze T., Akhobadze N.* World Journal Biology Pharmacy and Health Sciences, 2021, 05(03), 038-043.
20. *Ming-Dao Mu, Hong-Yan Geng, Kang-Lin Rong, Rong-Chao Peng, Shu-Ting Wang, Lin-Ting Geng, Zhong-Ming Qiuan, Wing-Ho Yung, Ya Ke.* Nature Communications, 2020, 11, 2261.
21. *Ryan J.P., Isaacson R.L.* Physiological Psychology, 1983, 11(1), 54-58.
22. *Shiota N., Narikiyo K., Masuda A., Aou Sh.* J. Physiol. Sci., 2016, 66(3), 265-73.
23. *Taylor J.L., Rajbhandari A.K., Berridge K.C., Aldridge J.W.* Brain Research, 2010, 1322, 92-101.
24. *Veloso A.W.N., Filgueiras G., Lorenzo P., Estanislau C.* Psychology and Neuroscience, 2016, 9, 1, 91-104.
25. *Жуков Д.А.* Биология поведения: гуморальные механизмы. СПб.: Речь, 2007, 443 с.
26. *Шабанов П.Д., Лебедев А.А., Мецеров Ш.К., Павленко В.П., Стрельцов В.Ф.* Роль дофамина в формировании эмоционального поведения. Обзоры по клинической фармакологии и лекарственной терапии, 2003, 2, 1, 23-45.

ЗНАЧЕНИЕ ИССЛЕДОВАНИЯ ГРУМИНГА ДЛЯ КЛИНИЧЕСКОЙ МЕДИЦИНЫ

**Георгий Андроникашвили¹, Теа Гурашвили^{1,2}, Тамила Багашвили^{1,3},
Кетеван Гогешвили¹, Георгий Квернадзе¹, Михаил Окуджава^{1,4},
Сенера Чипашвили¹, Нино Ахобадзе¹, Малхаз Макашвили⁴**

¹ Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси; ² Кавказский университет, Тбилиси; ³ Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили;
⁴ Государственный университет Ильи, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Груминг – врожденное поведение, которое включает в себя множество функций. Груминг имеет бимодальный, комфортный и стрессовый характер. Аутогруминг очень чувствителен к стрессорам, а также к природным и синтетическим анксиолитикам. Исследователи считают, что изучение груминга у грызунов является хорошим инструментом для трансляционных нейробиологических исследований, поскольку аберрантный груминг, в частности, нарушение синтактической цепи груминга и его цефало-каудального направления, может быть связан с психоневрологическими расстройствами у человека.

THE VALUE OF GROOMING RESEARCH FOR CLINICAL MEDICINE

***Giorgi Andronikashvili¹, Tea Gurashvili^{1,2}, Tamila Bagashvili^{1,3},
Ketevan Gogeshvili¹, Giorgi Kvernadze¹, Mikheil Okujava^{1,4},
Sennera Chipashvili¹, Nino Akhobadze¹, Malkhaz Makashvili⁴***

¹ Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi; ² Caucasus University, Tbilisi; ³ Ivane Javakhishvili Tbilisi State University; ⁴ Ilia State University, Tbilisi

SUMMARY

Grooming is an innate behavior that includes many functions. Grooming has a bimodal, comfortable and stressful nature. Autogrooming is very sensitive to stressors, as well as to natural and synthetic anxiolytics. Researchers think that rodent grooming assessment is a good tool for translational neurobiological studies, because aberrant grooming, in particular, the disruption of the synthetic chain of grooming and its cephalo-caudal direction, may be related to psychoneurological disorders in humans.

THE INFLUENCE OF THE ATMOSPHERE AIR POLLUTION ON THE HEALTH OF POPULATION AND THE PREVENTION MEASURES

*Nino Lomtadze¹, Marina Gvianidze¹, Irina Nakashidze¹, Tinatin Gorgiladze¹,
Ia Davitadze²*

¹ Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; ² LEPL Public Health Center for the Autonomous Republic of Adjara, Batumi

In Georgia atmosphere pollution has exceeded all the prognosis of the ecologists. According to the orientation data, thousands tons of the harmful substances are exuded each year. To resolve this issue, it is essential to technically improve the vehicles and enhance the quality of petrol. Today the scientists are facing an issue of an increased risk-factor influencing human health. It is important to work out the prophylactic measures protecting from the harmful biological influences. Polluted atmosphere negatively influences children, which is revealed through the deterioration of physical and psychic development of children and teenagers.

This work is dedicated to studying main atmosphere air pollutions on the territory of Adjara in order to establish their role in causing various diseases. More specifically, the following pollutants have been studied: dust, carbon monoxide and sulfur and nitrogen dioxides. Additionally, a number of diseases linked to the pollution and registered in Adjara in 2017-2019 have been studied. These are the following: chronic and undetermined bronchitis, asthma and diseases with asthma status, allergic rhinitis, and malignant cancer of trachea, bronchi and lungs. As a result, the possible number of the diseases caused by the atmosphere air pollution has been established. As a result of the research, it has been established that in order to improve atmosphere air condition the following measures need to be undertaken: follow the rules determined by the Georgian law on “Atmosphere Air Protection”; set in motion atmosphere air monitoring system; ban the import of low quality gasoline; improve the technical condition of the vehicles; organize transportation highways; renew and rejuvenate factories’ environmentally friendly equipment; maintain existing recreation zones and build the new ones.

Keywords: pollution, atmosphere air, health, population

In the modern period along the line with the scientific technological progress, production and transportation develop, new technologies are being introduced and the demands on the natural resources grow, which on its part causes deterioration of the biosphere indicator and reduction of the natural resources. Therefore, studying the tendencies of the atmosphere air pollution has a global meaning. In the recent years in the majority of the

countries, including Georgia, the environmental conditions have significantly worsened and the atmosphere air pollution indicator increased, which greatly influences population's health and effects the level of diseases. This is why it is important to pay close attention to the measures reducing the negative impact on the environment. More precisely, together with eradicating numerous negative actions, it is crucial to protect the atmosphere air from being polluted. It is noteworthy that in the recent years more attention is being paid to the vehicle emissions containing various toxic admixtures. According to the World Health Organization (WHO), 40 000 substances used during the anthropogenic activities have a negative influence on human health and 12 000 of them have a toxic nature. 92% of the planet population lives in the environment, where the top level of the pollution exceeds that of established by the WHO. This problem leads to an early death of more than 3 million people every year.

Atmosphere pollution in Georgia has exceeded all the prognosis of the ecologists. According to the orientation data, thousands tons of harmful substances are exuded each year. To resolve this issue it is essential to technically improve the vehicles and enhance the quality of the gasoline.

